20 ფაქტი

რომელიც შეიძლება არ იცოდე ევროპის ენების შესახებ

სილბო (სტვენია ენა)
გომერას კუნძულის ენა ესპანეთში ერთ-ერთი უძველესი სტვენია ენაა, რომელსაც კიდევ ასწავლიან ადგილობრივ სკოლებში.

მალტური
აფრაზიული ოჯახის ერთადერთი ენაა (რომელიც მოიცავს არაბულს, ებრაულს, ბერბერულს და ჰაუსას).

ეთრ-ეთრი კევლვის თნაახამდ, სტივყშაი აოსიებს თნამმიდვრეოაბს მილვშნნეობა არ აქვს. მოხოლდ ის აირს მივშვნონელანი რომ პივრელი და ბლოო ასო თვიას აგიზდლე იოყს. ეს იიმტომ, რომ აადმინაის ტნივი ყელვა აოსს არ კთილხუბოს, აარემდ სტიყავს რგოორც ერთ მლთინაობას.

ეუსკარული,
ბასკური ენა, მიჩნეულია ერთ-ერთ უძველეს ევროპულ ენად. საქმე ეხება პრე-ინდოევროპულ ენას, რომლის წარმომავლობაც უცნობია.



რუსული პირველი ენაა, რომელზეც ისაუბრეს **კოსმოსში.**

ლიტვური **ძალიან ჰგავს ძველ სანსკრიტს და ყველაზე ძველი ინდო-ევროპული ენაა, რომელზეც საუბრობენ.**

ფიქრობენ რომ
დაახლოებით 70 000 წლის წინ
ადამიანის ტვინმა ცვლილება განიცადა, რამაც მას საშუალება მისცა, განევითარებინა რთული მეტყველება და აზროვნება ისეთ რამეზე, რაც ერთი შეხედვით არ ჩანს. ამგვარად, მას ჩამოუყალიბდა უნარი, განავითაროს იდეები, გეგმები, რწმენა და უფრო ფართო ცნებები და გამოხატოს ისინი მეტყველებაში.

ევროპის ნახევარზე მეტი ორენოვანია.

ენები მოითვლის დაახლოებით
50 000
სიტყვას ან მეტს. საერთოდ, რომელიმე ენის წარმომადგენელი ფლობს
15 000 - 20 000
სიტყვათა ოჯახს, მაგრამ თითო მოსაუბრე იყენებს მხოლოდ რამდენიმე ასეულს.

ევროპაში დაახლოებით
225 ადგილობრივი ენა
არსებობს, რაც მსოფლიოში მსგავსი ენების 3 %-ს შეადგენს.

αβγδε
თქვენ იმაზე მეტი ბერძნული იცით, ვიდრე გგონიათ! ალბათ კარგად იცნობთ ალფას, ბეტას, დელტას, გამას და შეიძლება "პი"-ს π და P-საც. და კიდევ, მათემატიკა, ასტრონომია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ტექნოლოგია, ფილოსოფია და არ უნდა გამოგვრჩეს პოლიტიკა, დემოკრატია და ბევრი სხვა გავრცელებული ტერმინი ევროპის ენებში თავის ფუძეს იღებს ბერძნული ენიდან!

ř
ყველაზე ძნელი წარმოსათქმელი?
ყველა აღიარებს, რომ ჩეხური ასო **ř** მსოფლიოში ყველაზე რთული წარმოსათქმელია – ჩეხების გარდა!



ევროპის საბჭოს **რეგიონული და უმცირესობების ენების ევროპული ქარტია** ერთადერთი შეთანხმებაა, რომელიც იცავს და პოპულარიზაციას უწევს რეგიონული და ეროვნული უმცირესობების ტრადიცულ ენებს.

მშობლიური ენები, რომლებზეც ევროპაში საუბრობენ შემდეგი კლებადი თანმიმდევრობით ლაგდება: რუსული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და თურქული.

სერბულის, ისევე როგორც ქართული ენის ერთ-ერთი მთავარი წესია:
«წერო, როგორც ლაპარაკობ და წაიკითხო, როგორც წერია»
ეს ნიშნავს, რომ კერძო სახელებიც კი გამოთქმის მიხედვით იწერება: მაგალითად, ნიუ იორკი New York გახდება Njujork, და ჟერარ დეპარდიე Gérard Depardieu გახდება Žerar Depardje.

200-ზე მეტი ცრუ ენა
შეიქმნა ლიტერატურისა და კინოსთვის (ელფების ენა «ბეჭდების მბრძანებელში» და კლინგონი «სტარ ტრეკში»).

ბოლო დროის სამედიცინო კვლევებმა აჩვენა, რომ მეორე ენის შესწავლას შეუძლია რამდენიმე წლით გადაავადოს **დემენციის** გაჩენა.

ინდო-გერმანიკული ენები
მომდინარეობენ უძველესი ენიდან, რომელიც არსებობდა 4 000-5 000 წლის წინ. ლინგვისტი ეთნოლოგების უმრავლესობა მას ათავსებს ადამიანთა იმ კულტურებში, რომლებიც სადღაც კასპიის ზღვის რაიონში ცხოვრობდნენ. აქედან ის გავრცელდა ევროპაში და ინდოეთში.

იუნესკოს მიხედვით, სულ ცოტა
43%-ს
6 000 ენიდან, რომელზეც მსოფლიოში საუბრობენ, **გაქრობა** ემუქრება.

კინშასა,
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი, მსოფლიოში მეორე ფრანგულენოვანი ქალაქია პარიზის შემდეგ და მონრეალისა და ბრიუსელის წინ.

ენების ევროპული დღე 20 წლისაა!
26 სექტემბერი

WWW.COE.INT/EDL #COEEDL

EUROPEAN CENTRE FOR MODERN LANGUAGES
CENTRE EUROPEEN POUR LES LANGUES VIVANTES

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE